ეპოსი, როგორც ლიტერატურული ჟანრი.

სამი ეპიკური პოემის - „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ვეფხისტყაოსანი“ - შეპირისპირებითი ანალიზი და მკითხველის როლი ლიტერატურული ტექსტის რეცეფციისა და აქტუალიზაციის პროცესში

ნიკოლოზ თევზაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე რომანული ფილოლოგიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

რომანული ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზაღო დოხტურიშვილი პროფესორ-ემერიტუსი

ილისა სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკოლოზ თევზაძე

29.01.2025.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი, ერთის მხრივ, მიზნად ისახავს, მკითხველს გარკვეული სახის ინფორმაციები მიაწოდოს ეპოსისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე, ლიტერატურის განვითარების უზრუნველყოფის საქმეში სამ ეპიკურ პოემაზე - „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „ვეფხისტყაოსანი“ - დაყრდნობით. მეორეს მხრივ კი, წარმოადგინოს მკითხველის როლი და მნიშვნელობა ლიტერატურული ძეგლის რეცეფციისა და უკვდავყოფის პროცესებში.

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ ეპოსის წარმოშობისა და განვითარების წყაროები. განხილული ეპიკური პოემების საფუძველზე წარმოვადგინოთ ეპიკური გმირის პროტოტიპები. შედარებებისა და დაკვირვებების საფუძველზე განვსაზღვროთ ეპოსის განვითარების მახასიათებლები სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითებზე და გარკვეული სახის შეჯამება წარმოვადგინოთ მკითხველის როლსა და მნიშვნელობაზე ჰანს რობერ იაუსის ნაშრომზე „რეცეფციის ესთეტიკისათვის“ დაყრდნობით.

ჩვენი კვლევის მეთოდი ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რადგან კვლევის პროცესში დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულია შედარებითი და ემპირიული კვლევის მეთოდები როგორც ლიტერატურულ, ისე ისტორიულ პლანში ნაშრომში განხილული წყაროების ანალიზის საფუძველზე.

კვლევისას დადგინდა, რომ ეპოსმა როგორც ლიტერატურული გვარის ერთ-ერთმა სახეობამ, განვითარების ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო, ხოლო ჩვენს მიერ განხილულმა ეპიკურმა ნაწარმოებებმა მნიშნელოვანი როლი შეასრულეს კაცობრიობის სულიერი და გონებრივი განვითარების პროცესში. მკითხველის მიერ ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტის აღქმა და გააზრება რთული ფსიქოლოგიურ, კოგნიტიურ პროცეს წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია მთელ რიგ გარემო ფაქტორებზე, რომელთა ანალიზსაც გარკვეული ადგილი უკავია ჩვენს კვლევაში.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ეპოსი, ეპიკური ჟანრები, ეპიკური გმირი, ფრანგული ეპოსი - „სიმღერა როლანდზე“, გერმანული ეპოსი - „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ქართული ეპოსი - „ვეფხისტყაოსანი“, რეცეფციის ესთეტიკის თეორია

Abstract

The given Master's Thesis on one hand aims to provide readers with different kind of information on the nature of Epic genre characteristics, it's role and importance during the development of literature based on three epic poems - „Song of Roland", „The Song of the Nibelungs", „The Knight in the Panter's Skin". And on the other hand highlight the role and importance of the readers in the process of reception of the literal work and it becoming an everlasting piece of art.

Therefor the purpose of our research is to analize the sources of creation and development of epic genre. Give the examples of prototypes of epic heroes based on reviewed epic poems. By comparing and observing, determine the different charachteristics of developing an epic genre on the example of different European countries and give the conclusion on the importance of the readers in the process based on the work of Hans Robert Jauss „Reception Theory".

The method of our reaserch is of an interdisciplinary nature, because to achieve our goal, during the reaserch we used comparative and empirical methods in both literary and historic contexts based on the analysis of the sources discussed in the thesis.

During the reaserch it was made clear that Epic genre has long been developing in very interesing ways, also epic works reviewd in this paper played an important part in the spiritual and mental development of mankind. Perceiving and understanding of any literary text by the reader is a complex psychological cognitive process that depends on a number of environmental factors, analysis of these factors are included in our research as well.

Keywords: Epic, Epic genres, Epic hero, French Epic - „Song of Roland", German Epic - „The Song of the Nibelungs", Georgian Epic - „The Knight in the Panter's Skin", Reception theory

მადლობა

მადლობას ვუხდი ყველას, ვისაც გარკვეული წვრილი მიუძღვის წარმოდგენილი ნაშრომის შექმნაში.

ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ლექტორსა და ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსს, ქალბატონ მზაღო დოხტურიშვილს, რომელიც პერიოდულად მაწვდიდა საჭირო მასალებს, მაძლევდა რჩევებსა და მამხნევებდა ნაშრომის მზადების პროცესში.